



სახელმწიფო შესყიდვების  
სააგენტოს თავმჯდომარის  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080130045130414

# 144

06 / აგვისტო / 2014  
წ.

ს.ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ თეთრ სიაში დარეგისტრირების  
თაობაზე

”სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ”ბ” ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის” 26<sup>2</sup> მუხლის საფუძველზე:

1. ს.ს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" 2014 წლის 09 ივლისის N07/936 წერილისა და 18 ივლისის N07/998 წერილის, მათზე თანდართული დოკუმენტაციის განხილვის შედეგად, ს.ს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია" (ს/კ 202161098) 2014 წლის 07 აგვისტოს დარეგისტრირდეს თეთრ სიაში 1 (ერთი) წლის ვადით.

2. ამ განკარგულების შესრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ. №6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ლევან რაზმაძე